თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №6

ქ. თბილისი 2017 წელი, 26 დეკემბერი, 13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ზეკა დაცათულიანი, ივანტანგ შაქარიშვილი, დავით უთმელიძე, თევდორე ისაკაძე, დავით უჯმაჯურიძე, ჯაბა ჯიშკარიანი

სხდომას თავმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე

სხდომას არ ესწრებოდა: ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, გოჩა თევდორაძე, გიორგი გაბაშვილი

<u>**სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:**</u>

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი
ეკა ცეცხლაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი

დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-031735686-03)**

2. **„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-031731011-03; 12-03173149-03)**

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-031735686-03)**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფინანსდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოსმთავრობის 2017 წლის 14 დეკემბრის N2615 განკარგულებით, ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტში მეტროპოლიტენის სადგურების კაპიტალური შეკეთებისა და ვაგონების მოდერნიზებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფინანსდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 14 000,0 ათასი ლარის ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით. ამასთან, ფაქტიურად მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით იზრდება სხვა შემოსავლები სულ 10 307,6 ათასი ლარით, მათ შორის: მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის 8 225,6ათასი ლარით, შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) – 482,9 ათასი ლარით დაპროცენტები - 1 599,1 ათასი ლარით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 24 307,6 ათასი ლარით და შეადგენს 843 134,5 ათას ლარს.

ბიუჯეტის შემოსავლების ზრდასთან ერთად იზრდება ბიუჯეტის გადასახდელებიც. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობებისა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და პროგრამების/ ქვეპროგრამების ფარგლებში მიღებული ეკონომიების გადანაწილების შესახებ წინადადებები. წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე ბიუჯეტში მოძიებულმა რესურსმა შეადგინა 9 761,6 ათასი ლარი. ბიუჯეტის შემოსავლების ზრდისა და მოძიებული რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება შემდეგი პროგრამის/ ქვეპროგრამის ასიგნებები:

საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) 18 230,7 ათასი ლარით, მათ შორის: საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 დეკემბრის N2615 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი

პროექტების ფონდიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 14 000,0 ათასი ლარი,2ხიდი ბიუჯეტში მიმიღებული რესურსის ხარჯზე - 4,230.7 ათასი ლარი; იზრდება დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) 6 300,0 ათასი ლარით, მათ შორის გათვალისწინებულია თახამშრომელთათვის ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით საახალწლო პრემია 1 732,1 ათასი ლარი; ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების ასიგნებები (კოდი 02 07) იზრდება 340,7 ათასი ლარით 2017-2018 წლის საახალწლო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფისათვის და „საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელები“ ს (კოდი 07 02) ქვეპროგრამის ასიგნებები - 388,5 ათასი ლარით, ვიდეო რგოლების დამზადებისა და განთავსების და საახალწლო გალა კონცერტების პირდაპირი ეთერით ტრანსლირების ღონისძიებებისათვის; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის (კოდი 07 01 02) ასიგნებები 9 000,0 ათასი ლარით, მათ შორის გათვალისწინებულია ბაგა ბაღების თანამშრომლებისთვის საახალწლო პრემია 3,2 მლნ ლარი; სარეზერვო ფონდის (კოდი 10 02) მოცულობა იზრდება 150,0 ათასი ლარით.

მცირდება: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა აღდგენის პრიორიტეტის ფარგლებში მცირდება ასიგნებები 1 655,1 ათასი ლარით, მათ შორის: სახელმწიფოს, სატენდერო და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული ეკონომიების ხარჯზე მცირდება შემდეგი ქვეპროგრამების ასიგნებები: გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) - 350,0 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) - 137,1 ათასი ლარით, გზების მოვლა - შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) 6,0 ათასი ლარით, გზების მოვლა - შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 17) - 60,0 ათასი ლარით; გზების მოვლა - შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) - 87.0 ათასი ლარით;

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 763,9 ათასი ლარით; მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (კოდი 01 02 03) - 134,1 ათასი ლარით; ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება (კოდი 01 02 04) 117,0 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და აკარიული შენობების გამაგრების პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები მცირდება 4 656,9 ათასი ლარით, მათ შორის: სახელმწიფოს, სატენდერო და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული ეკონომიების ხარჯზე და ზოგიერთი პროექტის დაფინანსების 2018 წელს გადატანის გამო მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) - 4 390,0 ათასი ლარით; ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) - 120,0 ათასი ლარით; გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) - 300,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) - 59,3 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) - 60,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) - 15,3 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02

09 16) – 30,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) -23,0 ათასი ლარით; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესების პრიორიტეტის ფარგლებში მცირდება გამწვანების ღონისძიებების (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნებები 211,5 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია მომსახურების მოცულობების დაზუსტების შედეგად ხელშეკრულებებში ცვლილებების შემდეგ წარმოქმნილი ეკონომიით; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები მცირდება 1 427,2 ათასი ლარით, მათ შორის მცირდება შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებები: ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) - 23,4 ათასი ლარით; თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) - 39,5 ათასი ლარით; საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძებები (კოდი 04 07 05) - 63,4 ათასი ლარით; თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) - 40,1 ათასი ლარით; ქალაქის სანიკოლოგიური პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) - 96,4 ათასი ლარით; ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (კოდი 04 10) - 64,4 ათასი ლარით; დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (კოდი 04 12) - 1 100,0 ათასი ლარით, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის მე-6 ეტაპის სამუშაოების მასშტაბური მოცულობიდან და საკითხის სირთულიდან გამომდინარე ვერ ხერხდება 2017 წლის თანხების ათვისება. აღნიშნული სამუშაოებისთვის თანხები გათვალისწინებულია 2018 წლის ბიუჯეტში; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები მცირდება 192,3 ათასი ლარით, მათ შორის: გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიის, კაპიტალური გამაგრების სამუშაოების დასრულების შედეგად მიღებული ეკონომიისა და მოსალოდნელი შესრულების ანალიზის შედეგად მცირდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) ქვეპროგრამის ასიგნებები 14,5 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) ქვეპროგრამის ასიგნებები - 10,0 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) ქვეპროგრამის ასიგნებები - 21,0 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) ქვეპროგრამის ასიგნებები 18,0 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) ქვეპროგრამის ასიგნებები - 128,8 ათასი ლარით; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები მცირდება 91,2 ათასი ლარით, მათ შორის: ბენეფიციართა რაოდენობის შემცირების გამო მცირდება შემდეგი ქვეპროგრამების ასიგნებები: უფასო სასადილოებით მომსახურება კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 14 14) – 6,7 ათასი ლარით, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 15 15) – 7,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 16 08) – 1,8 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ისნის რაიონში (კოდი 06 02 16 13) – 2,4 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 16 15) – 6,0

ათასი ლარით, ომის ვეტერანების დახმარება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 17 07) – 1,6 ათასი ლარით; საახალწლო ნობათების ტენდერის შედეგად მიღებული ეკონომიების ხარჯზე მცირდება სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) ქვეპროგრამის ასიგნებები – 20,0 ათასი ლარით და სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) ქვეპროგრამის ასიგნებები – 20,0 ათასი ლარით; წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 20 03) ქვეპროგრამის ასიგნებები – 25,7 ათასი ლარით. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში მცირდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის (კოდი 07 01 02) ქვეპროგრამის ფარგლებში კეთილმოწყობის სამსახურისათვის გაწკუთვნილი ასიგნებები 150,0 ათასი ლარით; ინტელექტუალური საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობის (კოდი 07 02 01) ქვეპროგრამის ასიგნებები 28,0 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია სასკოლო ინიციატივების კონკურსში საჯარო სკოლების ნააკლების მომართვიანობისა და ინიციატივების სიმცირის გამო; საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) ქვეპროგრამის ასიგნებები – 979,6 ათასი ლარით. კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები მცირდება 354,9 ათასი ლარით, მათ შორის: სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნებები 70,0 ათასი ლარით (ყოველწლიური საანგარიშო შემოქმედებითი კონცერტებისათვის დარბაზის იჯარისა და სახელოვნებო სკოლების დათვალიერება-ფესტივალისათვის გამოყოფილი თანხები არ იქნა ათვისებული); მწვრთნელთა მხარდაჭერა (კოდი 08 06 02) – 8,7 ათასი ლარით; სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 144,0 ათასი ლარით, მათ შორის მცირდება კეთილმოწყობის სამსახურისთვის განკუთვნილი ასიგნებები 40,0 ათასი ლარით, რამდენადაც რაგბის კომპლექსისთვის მოაჯირებისა და სამაყურებლო სკამების მოწყობის სამუშაოები დაფინანსდება 2018 წლის ბიუჯეტიდან), ხოლო სპორტის სამსახურისათვის გათვალისწინებული ასიგნებები 104,0 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია ვაზისუბნის რაგბის სტადიონის და ლილოს სპორტული დარბაზის მშენებლობისა და აღჭურვის ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომიით, ასევე, არ შედგა გლდანი – ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის ფიტნეს დარბაზის აღჭურვილობის გამოცხადებული ტენდერი; წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება (კოდი 08 06 05) 14,3 ათასი ლარით; ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 37,0 ათასი ლარით; თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება (კოდი 08 08 02) – 80,0 ათასი ლარით; კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 08 11 09) – 0,9 ათასი ლარით. ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების პრიორიტეტის ფარგლებში მცირდება გლდანის რაიონის გამგეობის ასიგნებები 15,0 ათასი ლარით.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე

მუხლის, 1 პუნქტის, „დ.ა“ ქვეპუნქტის, 89-ე მუხლიდან გამომდინარე, აღნიშნული პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს ყოველდღის სხდომაზე განსახილველად.

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-031731011-03; 12-03173149-03)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი (წერილი№12-031731011-03 - 06.11.2017წ) საკრებულოს დადგენილების პროექტი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20 105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. წინა სხდომაზე (ოქმი №05.22.12.2017წ) პროექტის ცალკეულ პოზიციაზე გამოთქმული იქნა შენიშვნა და სხვადასხვა მიზეზით გადადებულ იქნა ცალკეული საკითხები, კერძოდ:

1. წერილი **№12-031731011-3 06.11.2017**წ მე-**2** პოზიცია, ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ორთაჭალის ქუჩის ბოლოს, ბოტანიკური ბაღის დამხმარე ტერიტორიიდან არსებული მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: **N01.18.01.002.187; 01.18.06.012.019**-ზე და მიმდებარეც), (**954** კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონას, სარეკრეაციო ზონა **2**-ს,სატრანსპორტო ზონა **1**-სა და საცხოვრებელ ზონა **2**-ს შორის.

ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა იცვლება საცხოვრებელი ზონა 2-ით,სარეკრეაციო ზონა 2 იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით, ("ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 18.05.2017 წლის ოქმი #20), განმცხადებელი: მ.სუხიტაშვილი.AR1503536.

2. წერილი **№12-031731011-3 06.11.2017**წ, მე-**6** პოზიცია, ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, რუსთაველის გზატკეცილი **#50**-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: **N01.18.12.023.010**-ის მიმდებარეც), (**101** კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა **1**-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა **2**-ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით, ("ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 12.10.2017 წლის ოქმი #41), განმცხადებელი.: კ.გოჩელაშვილი.AR1548358.

3. წერილი **№12-03173149-03 - 10.11.2017**წ პირველი პოზიცია, ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში, მაქს ტილკეს ქუჩის **I** ჩიხი **N11**-ში, მაქს ტილკეს ქუჩის **I** ჩიხი **N13**-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე

(საკადასტრო კოდი: N01.72.14.065.011, 01.72.14.065.012, 01.72.14.065.014), (1832 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 2-სა და საცხოვრებელ ზონა 3-ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 2 იცვლება საცხოვრებელი ზონა 3-ით, ("ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 19.10.2017 წლის ოქმი #42), განმცხადებელი:ქ.ჟვანია.AR1548790.

წარმოდგენილი ცვლილებების მიღების შესაბამისად განხორციელდება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე - რუკაზე არსებული ფუნქციური ზონის ცვლილება 3 ერთეულ შემთხვევაში.

სხდომაზე განმარტებებს იძლეოდა და კომისიის წევრების კითხვებს პასუხობდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის-სსიპ არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი ეკა ცეცხლაძე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი წერილი №12 031731011 3 - 06.11.2017წ. დადგენილების პროექტი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის 3 წინადადება, მე 2 პოზიცია AR1503536, მე-6 პოზიცია - AR1548358, წერილი №12-03173149-03 - 10.11.2017წ, პირველი პოზიცია - AR1548790 გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად დადებითი რეკომენდაციით.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ სოხაძე